პროექტი

საქართველოს მთავრობის დადგენილება N

2022 წლის ქ. თბილისი

ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესი“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2028 წლის- 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესი

მუხლი 1.

1. „ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესი“ (შემდგომში -

წესი) ადგენს დაცვის მინიმალურ სტანდარტებს ფერმერული მიზნით ცხოველთა მოშენებისას ან შენახვისას.

2. ამ წესის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

3. ეს წესი არ ვრცელდება:

ა) ველურ ბუნებაში მყოფ ცხოველებზე;

ბ) ცხოველებზე, რომლებიც განკუთვნილნი არიან შეჯიბრების, სანახაობის, კულტურული თუ სპორტული ღონისძიებისა ან სხვა აქტივობისათვის;

გ) ექპერიმენტულ ან ლაბორატორიულ ცხოველზე;

დ) ნებისმიერ უხერხემლო ცხოველზე.

4. ეს წესი გამოიყენება კეთილდღეობასთან კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, კერძოდ, ,,ხბოს დაცვის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და ,,ღორის დაცვის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად.

მუხლი 2.

1. ამ წესის მიზნებისათვის, გამოყენებულ ტერმინებს გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ცხოველი - ნებისმიერი ცხოველი (მათ შორის თევზები, ქვეწარმავლები ან ამფიბიები), რომელიც მოშენებულია ან ინახება სურსათის, მატყლის, კანის, ბეწვის წარმოების ან სხვა ფერმერული მიზნებისათვის;

ბ) **მფლობელი ან მომვლელი** - ფიზიკური ან იურიდიული პირ(ებ)ი, რომელიც დროებით ან მუდმივად პასუხისმგებელია ცხოველზე.

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრულ ტერმინები.

მუხლი 3.

მფლობელის ან მომვლელის მხრიდან უნდა გადაიდგას ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა დაცული იყოს მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ცხოველების კეთილდღეობა და არ მიადგეთ არასაჭირო ტანჯვა, ტკივილი ან დაზიანება.

მუხლი 4.

მფლობელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პირობები, სადაც ცხოველთა (თევზები, ქვეწარმავლების ან ამფიბიების გარდა) გამრავლება ან შენახვა ხდება, ესადაგება მათ სახეობებს და გათვალისწინებულია მათი განვითარების, ადაპტაციისა და მოშინაურების ხარისხი და მათი ფსიქოლოგიური და ეტიოლოგიური საჭიროებები დადგენილია სამეცნიერო ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად, რაც შეესაბამება ამ წესის დანართი N1-ით „ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 5. ინსპექტირება და წლიური ანგარიში

სააგენტომ ყოველი წლის ბოლოს სამინისტროს უნდა წარუდგინოს დანართი N2-ის ,,სააგენტოს მიერ წარდგენილი წლიური ანგარიში 01.01.(XXXX)- დან 31.12(XXXX)-მდე“ შესაბამისად წინა წლის წლიური ანგარიში მის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შესახებ, რათა დაადასტუროს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა. ანგარიშს უნდა დაერთოს გამოვლენილი ძირითადი ხარვეზების ანალიზი და მათი აღმოფხვრის სამოქმედო გეგმა.

დანართი N1

ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ცხოველების მოვლა უნდა განხორციელდეს შესაბამისი რაოდენობის, შესაძლებლობების, ცოდნისა და პროფესიული კომპეტენციის მქონე პერსონალის მიერ.

2. მეცხოველეობის სისტემაში შენახული ყველა ცხოველი, რომელთა კეთილდღეობა დამოკიდებულია ადამიანთა ხშირ ყურადღებაზე, უნდა იქნეს შემოწმებული სულ მცირე დღეში ერთხელ. სხვა სისტემაში შენახული ცხოველები უნდა იქნეს შემოწმებული შესაბამისი ინტერვალებით, რათა

ნებისმიერი სახის ტანჯვა თავიდან იქნეს აცილებული.

3. ნებისმიერ დროს, ცხოველთა საფუძვლიანი შემოწმებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იქნეს შესაბამისი განათება (სტაციონალური ან მოძრავი).

4. ავადმყოფ ან დაშავებულ ცხოველს დაუყონებლივ უნდა გაეწიოს დახმარება და თუკი ცხოველი დახმარებაზე არ რეაგირებს, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ვეტერინართან კონსულტანცია. საჭიროების შემთხვევაში, ავადმყოფი ან დაშავებული ცხოველი უნდა მოთავსდეს იზოლირებულ გარემოში და საჭიროებისას, მშრალ კომფორტულ ქვეშსაგებზე.

5. ცხოველის მფლობელმა ან მომვლელმა უნდა აღრიცხოს ცხოველთათვის გაწეული მკურნალობისა და თითოეული შემოწმების დროს აღმოჩენილი სიკვდილიანობის რაოდენობა. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაცია (ჩანაწერები), რომელიც შენახული უნდა იქნეს სხვა მიზნებისათვის, უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის მიზნებსაც.

6. ამ დანართის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერები უნდა ინახებოდეს სულ მცირე სამი წლის განმავლობაში და ამასთანავე შემოწმების დროს ან სხვა საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოსთვის.

7. სახეობებიდან გამომდინარე ცხოველთა გადაადგილების თავისუფლება (არსებული გამოცდილებისა და მეცნიერული ცოდნის გათვალისწინებით) არ უნდა შეიზღუდოს ისე, რომ გამოიწვიოს ცხოველთა ზედმეტი ტანჯვა ან დაზიანება. როდესაც ცხოველი მუდმივად ან რეგულარულად არის დაბმული ან დამწყვდეული, არსებული გამოცდილებისა და სამეცნიერო ცოდნის გათვალისწინებით მას უნდა მიეცეს მისი ფიზიოლოგიური და ეთოლოგიური საჭიროების შესაბამისი ფართი.

8. ცხოველთა სადგომის ასაშენებლად გამოყენებული სამშენებლო მასალები, რომელთან შეხება ცხოველებს შესაძლოა ჰქონდეს, არ უნდა იყოს ცხოველთათვის საზიანო და შესაძლებელი უნდა იყოს მათი სრულყოფილი დასუფთავება და დეზინფექცია.

9. ცხოველთა სადგომი უნდა იყოს ისე აშენებული და მოწყობილი, რომ არ ჰქონდეს ბასრი კიდეები ან გამოწეული ადგილები, რომელთაც ცხოველთა დაზიანების გამოწვევა შეუძლია.

10. ცხოველებისთვის ჰაერის ცირკულაცია, მტვრის დონე, ტემპერატურა, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა და გაზის კონცენტრაციის დონე უსაფრთხოების ფარგლებში უნდა რეგულირდებოდეს.

11. ცხოველები, რომლებიც ინახება შენობაში, არ უნდა იყვნენ მუდმივ

სიბნელეში და არაბუნებრივი განათებისგან დასვენების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. თუკი, ცხოველთა ფიზიოლოგიური და ეტიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არსებული ბუნებრივი განათება საკმარისი არ არის, მაშინ შესაბამისი ხელოვნური განათება უნდა იქნეს მიწოდებული.

12. ცხოველები, რომლებიც არ ინახება შენობაში, საჭიროებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, დაცულნი უნდა იყვნენ არასასურველი ამინდისაგან, მტაცებლებისა და სხვა ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველი საფრთხეებისგან.

13. ყველა ავტომატური ან მექანიკური მოწყობილობა, რომელიც ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის აუცილებელია, სულ მცირე დღეში ერთხელ მაინც უნდა შემოწმდეს. დეფექტები, აღმოჩენის შემთხვევაში, მალევე უნდა აღმოიფხვრას ან თუკი აღმოფხვრა შეუძლებელია, მაშინ ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დასაცავად შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული.

როდესაც ცხოველთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა დამოკიდებულია ხელოვნური ვენტილაციის სისტემაზე, მნიშვნელოვანია არსებობდეს სარეზერვო ვენტილაციის სისტემა, რათა მთავარი სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს ცხოველთათვის საკმარისი ჰაერის მიწოდება, აღნიშნულს წინ უნდა უსწრებდეს საგანგაშო სიგნალი. განგაშის სისტემა რეგულარულად უნდა შემოწმდეს.

14. ცხოველები უნდა იკვებებოდნენ მათი ასაკისა და სახეობის შესაბამისი სრულფასოვანი საკვებით, რათა შენარჩუნდეს მათი ჯანმრთელობა და დაკმაყოფილდეს კვებითი მოთხოვნილებები. საკვები ან სითხე ან მათი შემცვლელი ცხოველსათვის არ უნდა იყოს ზედმეტი ტანჯვისა ან დაზიანების მომტანი.

15. ყველა ცხოველს უნდა შეეძლოს კვება მათი ფიზიოლოგიური საჭიროების შესაბამისი ინტერვალებით.

16. ყველა ცხოველს უნდა ჰქონდეს წყლის შესაბამის რესურსთან წვდომა ან შეეძლოს სითხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვა საშუალებებით.

17. საკვებურები და დასაწყურებლები უნდა დაიგეგმოს, აშენდეს და განთავსდეს ისე, რომ საკვებისა და წყლის დაბინძურება და ცხოველთა შორის კონკურენციის უარყოფითი გავლენა მინიმუმადე იყოს დაყვანილი.

18. არცერთი სხვა ნივთიერება (სუბსტანცია), გარდა თერაპიული ან პროფილაქტიკური მიზნებისათვის, ან ,,მეცხოველეობაში ჰორმონული და

თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის N10 დადგენილებით განსაზღვრული ზოოტექნიკური მკურნალობისთვისთვის, არ უნდა მიეწოდოს ცხოველს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცხოველთა კეთილდღეობის სამეცნიერო კვლევებით ან არსებული გამოცდილებით დადასტურებულია, ხოლო აღნიშნული ნივთიერების მოქმედება ცხოველის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის საზიანო არ არის.

19. იკრძალება ბუნებრივი ან ხელოვნური გამრავლება ან გამრავლების პროცედურები, რომელსაც შეუძლია ცხოველის ტანჯვის ან დაზიანების გამოწვევა. ეს მოთხოვნა არ გამორიცხავს გარკვეული პროცედურების გამოყენებას, რომელსაც შეუძლია მინიმალური ან წამიერი დაზიანების ან ტანჯვის გამოწვევა, ან იმ სახის ინტერვენცია/ჩარევა, რომელიც ცხოველისთვის არ იქნება ხანგრძლივი დაზიანების მომტანი და დაშვებულია კანონმდებლობით.

20. აკრძალულია ფერმერული მიზნებისათვის ცხოველთა შენახვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცხოველთა გენოტიპისა და ფენოტიპიდან გამომდინარე, ცხოველის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე აღნიშნულს უარყოფითი გავლენა არ ექნება.

დანართი N2

სააგენტოს მიერ წარდგენილი წლიური ანგარიში 01.01.(XXXX)- დან 31.12(XXXX)-

მდე

ცხოველთა კეთილდღეობა ფერმაში

ფერმერული მიზნით შენახული ცხოველები (ცხოველთა კატეგორიები)	საწარმოო ადგილის/ობიექტის რაოდენობა Number of production sites	ჩატარებული სახელმწიფო კონტროლის რაოდენობა	შეუსაბამობა		ქმედება/ზომები	
			შემოწმებული საწარმოო ადგილის /ობიექტის საერთო რაოდენობა *	შემოწმებული საწარმოო ადგილის/ ობიექტის რაოდენობა, სადაც გამოვლინდა შეუსაბამობა	ადმინისტრაციული	სასამართლო
ღორები (ღორისებრთა სახეობის ცხოველი, ნებისმიერი ასაკის, რომელიც ინახება სანაშენედ ან სასუქად)						
კვერცხმდებელი ქათმები (Gallus gallus-ის სახეობის ქათამი, რომელმაც მიაღწია მომწიფების ვადას და						

ინახება კვერცხის წარმოებ ი სთვის და არ არის განკუთვ ნილი სანაშენე დ/ ინკუბა ტორისა თვის)						
ქათამი (Gallus gallus-ის სახეობის ცხოველი , რომელი ც ინახება ხორცის წარმოებ ი სთვის)						
ხბოები (ექვს თვემდე ასაკის მსხვილფ ეხა საქონელ ი)						
სხვა (დააზუს ტეთ)						

6.3 ფერმაში ცხოველთა კეთილდღეობის ანალიზი და სამოქმედო გეგმა	

** სააგენტოს შეუძლია აირჩიოს - შეავსოს ან ცარიელი დატოვოს ვარსკვლავით მონიშნული ტექსტური ველები ან უჯრები (*).*